

## ხელის ენა ჰომეროსის ეპოსში<sup>1</sup>

### თამარ სუხიშვილი

„მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელს ლაპარაკი შეუძლიათ, – წერდა კვინტილიანე, – განა არ იყენებთ მათ იმისათვის, რომ რამე მოითხოვოთ, ვინმეს რამეს დაჰპირდეთ, ვინმეს უხმოდ, დაემშვიდობოთ, დაემუქროთ, შეევედროთ, უარი უთხრათ ან შიში გამოხატოთ, სთხოვოთ ან უკუაგდოთ? განა ჩვენ მათ არ ვიყენებთ იმისათვის, რომ გამოვხატოთ სიხარული, განცდა, დაფიქრება, სიმტკიცე, ზომა, წონა, რიცხვი და დრო? განა არა აქვთ მათ ძალა, რომ წაგაქეზონ ან აგდებით შემოგხედონ, გაკვირვება ან სიხარული გამოხატონ?“ [კუპერი 1986:72-74].

ამ ფრაგმენტში ზუსტადაა შეფასებული ხელის ფუნქცია კომუნიკაციის პროცესში. ჩვენი მიზანია სწორედ ხელის ენის თავისებურებების კვლევა, იმის შესწავლა, თუ როგორ იყენებს ადამიანი ხელის ენას ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დროს.

მიჩნეულია, რომ სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა ენებში სხეულის ნაწილების აღსანიშნავად გამოიყენება, ხშირად იდენტიფიცირებულია იმ ნაწილების ფუნქციასთან, რომელსაც ისინი აღნიშნავენ, მაგ., ბერძნ. ἄκτι-ρος (უგულო), რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს გული არა აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს დაკარგული აქვს სხეულის ამ ნაწილის ნორმალური ფუნქცია. ამ თვალსაზრისის გასამყარებლად საუკეთესო მაგალითად მოყვანილია ბერძნ. ἀπάλαμος (უხელო, უხელისმტევნი), რაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ხელი არა აქვს. ეს ზედსართავი სახელი უუნარო და ზოგადად უმწეო ადამიანს მიემართება, რადგანაც კეთება სწორედ ხელების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. შოტლანდიელები „უხელოს“ ეძახიან დონდლო ადამიანს, ირლანდიელები კი მთვრალ კაცზე „უფეხოს“ იტყვიან [ჭარისონი 1954:190-191]. შდრ.: ქართ. „...მხად იყო კოჭლს ფეხად შესდგომოდა, უხელოს – ხელად“ [ქეგლ VI 1960].

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ერთი სომატური სახელის – ხელის გამოყენების არეალი ჰომეროსის ეპოსში. ნაშრომი მიზნად ისახავს, გაარკვიოს, რა ფუნქციები და დატვირთვა აქვს სხეულის ამ ნაწილს ჰომეროსის პოემებში და როგორ აისახება ეს მნიშვნელობები ენაში.

სომატური სახელების შესწავლის კუთხით ჰომეროსის პოემების მიმართ ინტერესი ბუნებრივია, რადგან ხალხური სომატური ტერმინოლოგიის

<sup>1</sup> წაკითხული მოხსენებად კლასიკური მეცნიერებების საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის XIII კონფერენციაზე ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში (ბერლინი) 2009 წლის 25 აგვისტოს.

პირველწყაროს ძველ საბერძნეთში სწორედ ჰომეროსის ეპოსი წარმოადგენს და მასში სომატური სახელების მდიდარი ლექსიკონია წარმოდგენილი [ლოიდი 1983:149-168]. ზოგადად, ჰომეროსის ეპოსში სომატური სახელების კვლევა მრავალმხრივ არის საუურადღებო: ასეთი კვლევა საინტერესო მასალას იძლევა იმდროინდელი ხალხური ანატომიური ცოდნის, ყოველდღიური უოფისა და წეს-ჩვეულებების და, რა თქმა უნდა, უფრო ფართოდ, ენისა და აზროვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

ჰომეროსის ეპოსში სომატური სახელების სიტუაციური გამოყენების კუთხით პირობითად რამდენიმე ჯგუფი იკვეთება: ბატალური ეპიზოდები, ჩვეულებრივი უოფითი სცენები, რიტუალური საქმიანობა (სომატურ სახელებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ლოცვის, ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის დროს), გმირების უესტიკულაციის, გრძნობა-ემოციების, დაფიცებისა და დაწყევლის ამსახველი ეპიზოდები, პიროვნების, საგნების ან მოვლენების დახასიათების სცენები. ამ ჯგუფებში, როგორც წესი, სომატური სახელები მათი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თუ უოფითი ფუნქციების მიხედვით არის გადანაწილებული. შესაბამისად, ხელი, როგორც მრავალფუნქციური დატვირთვის სომატური სახელი, მეტ-ნაკლებად ყველგან ფიგურირებს. აქედან დომინანტია ბატალურ ეპიზოდებში, ყოველდღიურ უოფით სცენებში, რიტუალის ამსახველ ეპიზოდებში და, რა თქმა უნდა, უესტიკულაციაში.

ხელის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსემა ძველ ბერძნულში და, შესაბამისად, ჰომეროსთან არის ἡ χεῖρ. ბერძნ. χεῖρ ლექსემის ძირითადი მნიშვნელობაა ადამიანის ზედა კიდურის აღნიშვნა (როგორც ხელის, ასევე – მკლავის). მოგვიანებით ის ცხოველის კიდურების აღსანიშნავადაც გამოიყენება, მაგრამ ჰომეროსთან ამ სემანტიკით არ არის დადასტურებული [ლიდლ-სკოტი 1996]. ხელის აღსანიშნავად ჰომეროსთან სხვა ლექსემებიც გამოიყენება: ἡ ἄνω ἰσχυρία – იდაყვი, მკლავი იდაყვიდან ქვემოთ, ὁ ἄμωσ – მხარი მკლავის ზედა ნაწილთან ერთად, ἡ παλάμη – ხელის მტევანი [ლიდლ-სკოტი 1996].

χεῖρ ლექსემის სიხშირე საკმაოდ მაღალია ჰომეროსთან. „ილიადაში“ ეს სიტყვა გვხვდება 267-ჯერ, ხოლო „ოდისეაში“ – 161-ჯერ. თუმცა ასეთი ინტენსიური ხმარება არც არის გასაკვირი. ხელ-ლექსემის ხმარების სიხშირე ზოგადად უნივერსალური მოვლენაა. როგორც ამბობენ, ხელი ის ორგანოა, რომელსაც სიმბოლური ენით შეუძლია ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ჟ. ვანდრიესი, როდესაც ის მსჯელობს სომატური სახელების მეტაფორიზაციის პროცესზე. ის წერს, რომ ხელის მეტაფორა ყველაზე ხშირი მეტაფორაა. ხელი ადამიანის ძირითადი ინსტრუმენტი. ადამიანის საქმიანობის დიდი ნაწილი ხელის მეშვეობით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რატომ არის ხშირი ფრაზები ხელ- სიტყვის გამოყენებით [ვანდრიესი 1931:203]. შდრ.: მაიმუნებს ხელები არა აქვთ, მათ აქვთ თათები, რომლებსაც ტაცების ფუნქცია აკისრია. ხელი ადამიანის ატრიბუტია, იმ არსების ატრიბუტი, რომელსაც მეტყველების უნარი აქვს.

ჰომეროსის პოემებში χείρ ლექსემის სიტუაციური გამოყენების რამდენიმე ძირითადი შემთხვევა შეიძლება გამოვყოთ: 1. ხელი – ადამიანის ყოველდღიური ყოფა-საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტი, 2. ხელი – უესტიკულაციის ინსტრუმენტი, 3. ხელი – სიმბოლური დატვირთვის მატარებელი, მეტაფორიზაციის საფუძველი. შინაარსობრივად სამივე შემთხვევაში ხელი ადამიანსა და გარესამყაროს შორის გარკვეულ მიმართებაზე მიანიშნებს.

## 1. ხელი – ადამიანის ყოფა-საქმიანობის ინსტრუმენტი

### ა) ბატალური სცენები

ხელი რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ადამიანის ყოფა-საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტია. ბუნებრივია, ამ ყოფა-საქმიანობაში შემოდის ბრძოლა და რიტუალური საქმიანობა, სადაც ხელს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: ადამიანი იბანს ხელს, ხელით სტყორცნის შუბს, სტკივა ხელი, ხელში უჭირავს თასი, ხელში იჭრება, ხელს ხელაპყრობს ლოცვის დროს, ნიკაპზე ხელს შეახებს ვედრების დროს, ხელი უბუჟდება დაჭრილს და ა.შ. ბატალური სცენების აღწერის დროს ყურადღებას იქცევს მეტაფორა: ხელების სისხლით დასვრა – λήθαυ δὲ παλάσσειτο χείρας ἀάπτους (II. 11.169) „ხელი სისხლში დაილტო მეფემ“.

ხელის მეშვეობით განხორციელებულ ქმედებათა ვერბალური აღწერის დროს (გგულისხმობთ იმ ფრაზებს, რომლებიც χείρ ლექსემას შეიცავს) პირობითად ორი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: 1. ერთ ჯგუფში ერთიანდება ის ფრაზები, სადაც ხელი „მიმღების“ (როგორც აქტიურის, ისე პასიურის) ფუნქციას ასრულებს (მოქმედება ხდება ხელის მეშვეობით: ხელი იღებს რაღაცას, ან ხელს უჭირავს რაღაც): ὁ δὲ χερμάδιον λάβε χεῖρι (II. 5.302), πορφύρεον μέγα φάρος ἔχων ἐν χεῖρι παχείη (II. 8.221)... 2. მეორე ჯგუფში შედის ფრაზები, რომლებშიც ხელი „გამცემია“ (ხელი აძლევს ვინმეს რაღაცას, გასცემს რამეს, ხელიდან ვარდება რაღაც): δαλὸς δὲ οἱ ἔκπεσε χεῖρός (II. 15.421), χεῖρός δ' ἔκβαλεν ἔγχος (II. 14.419), τοῦ δ' οὐχ ἄλιον βέλος ἔκφυε χεῖρός (II. 16.480)...

პირველ ჯგუფში, სადაც ხელს „მიმღების“ ფუნქცია აქვს, ხელი მიცემით ბრუნვაში დგას. გვხვდება როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიანი მიცემითის ფორმები. შინაარსის მიხედვით ეს ფორმები ასეთნაირად განირჩევა: უთანდებულო მიცემითი აქტიური მიმღებია, მოქმედების ინსტრუმენტი (dativus instrumenti), თანდებულიანი ფორმა კი – პასიური მიმღები. პირველ შემთხვევაში მოქმედების პროცესზეა აქცენტი, მეორე შემთხვევაში – მოქმედების შედეგზე: მაგ.: λαμβάνω χερσί, χεῖριω ალება ხელებით, ხელით (უთანდებულო მიცემითი), ἔχω ἐν χερσῶν – ქონა (ჭერა) ხელებში (თანდებულიანი მიცემითი).

ხელი უმეტესწილად გვხვდება იმ ზმნებთან, რომლებიც ხელით განხორციელებულ მოქმედებას ასახავენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ

ხდება ენაში ἐν χείρῳ (ხელით) მნიშვნელობის შემდგომი ცვლილება. საყურადღებოა, რომ სექტუაგინტაში ეს ფორმა დამატებით ფუნქციას იძენს: „ხელითა“ ფორმის პლეონასტური ხმარება საჭურვლითობის ფუნქციით. ამ შემთხვევებში ხელი გამოიყენება იმ ზმნებთანაც, რომლებიც ხელით განხორციელებულ მოქმედებას არ ასახავენ, რაც, როგორც ჩანს, არ უნდა ყოფილიყო ბერძნულისთვის დამახასიათებელი. ვარაუდობენ, რომ ეს ფაქტი უცხოენოვან პირველწყაროთა კალკური გადმოცემის შედეგია. ინსტრუმენტის ფუნქციით „ხელის“ გამოყენება ებრაულსა და სირიულ ენებს ახასიათებს, თუმცა ამ ფორმამ ებრაული ბიბლიური ტექსტის გავლენით ბერძნულ თარგმანშიც მოიკიდა ფეხი: „აქედან კი შემდგომ სხვა თარგმანებშიც (კერძოდ, ქართულ და სომხურ თარგმანებში) გავრცელდა: ἐγένετο λόγος κύριου ἐν χείρῳ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων „იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჳელითა ანგეა წინასწარმეტყუელისაჲ“ (ანგ. 1:3), ἃς ἐνετείλατο τοῖς πατράσις ἐν χείρῳ Μωσῆ „...რომელნი ამცნნა მამათა მათთა ჳელითა მოსჯისთა“ (მსაჯ. 3:4). [დანელია 1987:555].

ასევე ებრაიზმებადაა მიჩნეული ბერძნულში შემდეგი ფორმები: ხელსა ჩემსა (მე), ხელსა შენსა (შენ), ხელსა მისსა (მას), რომლებიც ძველ ქართულში ბერძნულიდან შემოვიდა [სარგველაძე 1984:184-185].

მართალია, ეს უკვე სცდება ჩვენს საკვლევ თემას, მაგრამ არის ერთი მაგალითი იმისა, თუ რამდენად შორს მივყავართ სომატური სახელების კვლევას და რამდენად მნიშვნელოვანია სომატური სახელების მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებების შედარება სხვადასხვა ენებში.

საინტერესოა ჩვენ მიერ პირობითად გამოყოფილი მეორე ჯგუფის ზმნების მოდელი (ხელიდან გავარდნის, გასროლის მნიშვნელობით). ეს ფრაზები ძირითადად ბატალური სცენებიდანაა: δαλὸς δὲ οἱ ἔκπεσε χεῖρός (II. 15.421) შუბი გაუვარდა მას ხელიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შუბის გასროლის მეტაფორა, სადაც შუბი გაპიროვნებულია და ეს ქმედება ასეა აღწერილი: τοῦ δ' οὐχ ἄλιον βέλος ἔκφυγε χεῖρός (II. 16.480) „ხელიდან გამოიქცა შუბი“. მოცემულ ფრაზებში χεῖρ ლექსემა ზმნას ეწყობა ნათესაობით ბრუნვაში. გრამატიკულად ეს ფორმები ძალიან ჰგავს „განცალკევების“ („ჩამოშორების“) ნათესაობითს (genetivus separationis), რომელიც რამიდან (ამ შემთხვევაში ხელიდან) თავის დაღწევის, განცალკევების მნიშვნელობის მატარებელია.

იმ კონტექსტების განხილვის დროს, როცა ხელი ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს, ყურადღებას იქცევს „ილიადას“ ერთი მაგალითი: τῶν μὴ τις ἰπεκφύγει αἰπὺν ὄλεθρον χεῖράς θ' ἡμέτερας (II. 6.57-58) „არვის ასცდეს შავი სიკვდილი ჩვენი ხელითა“. „ჩვენი ხელით“ (სიტყვასიტყვით „ჩვენი ხელებით“) იგივეა, რაც ჩვენგან, ჩვენ მიერ. აქ ბრალდებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული (accusativus relationis), ფუნქციურად „ჩვენი ხელებით“ ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს; შინაარსობრივად კი მოქმედება, რომელიც ჩვენ მიერ ხორციელდება, უშუალოდ ხელთან, ხელის სიმბოლიკასთან (ძალასთან) არის დაკავშირებული.

## ბ) რიტუალური საქმიანობა

ლოცვისა და ვედრების რიტუალებში ხელს ერთგვარი მედიატორის ფუნქცია აქვს. ლოცვის რიტუალის დროს მლოცველი ხელებს ზემოთ, ღმერთებისკენ, აღაპყრობს. ცნობილია, რომ ბერძნები იშვიათად იჩოქებდნენ მუხლზე ლოცვის დროს [პულეინი 2000:215]. ამას არქეოლოგიური მასალებიც მოწმობს: ადამიანის ფიგურები, რომელთაც ხელები ზემოთ აქვთ აპყრობილი, ჰომეროსის გმირების *χελρὸς ὀρέγασ* – ხელაპყრობილი ლოცულობენ<sup>2</sup>.

ვედრების რიტუალში ხელის ზეაპყრობა ხელით ფიზიკური კონტაქტით იცვლება. ვედრების დროს მავედრებელის ხელი ეხება ვედრების ადრესატის მუხლებს ანდა ნიკაპს (სახეს), სხეულის იმ ნაწილებს, რომლებიც განსაკუთრებული სიწმინდის მქონეა [გულდი 2001:26]. ჰომეროსთან ამის უამრავი მაგალითია. საინტერესოა ერთადერთი ეპიზოდი „ილიადაში“, როდესაც ვედრების ტაქტილური შესტი, მუხლზე შეხებასთან ერთად, ხელზე კოცნასაც მოიცავს (II. 24.478). სხვა შემთხვევებში ხელზე კოცნის შესტები მხოლოდ განსაკუთრებული სიხარულისა და სიყვარულის გამოხატვის დროს გვხვდება (Od. 21.225, Od. 22.500, Od. 23.87, Od. 23.207).

ამავე პოემაში კიდევ ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით საყურადღებო, სადაც თითქოს წაშლილია ზღვარი ლოცვისა და ვედრების რიტუალის გამოხატულებას შორის, ეს არის ლოცვა ღმერთის მიმართ ტაქტილური გამოხატულებით [პულეინი 1997:57]. თეტისი ზევსს აქილევსის დახმარებას სთხოვს. ის მარცხენა ხელს ადებს მუხლზე, მარჯვენათი კი მის ნიკაპს ეხება. ეს ეპიზოდი მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს, როგორც ნაზავი ლოცვისა და ვედრების რიტუალებისა.

## 2. ხელი – შესტიკულაციის ინსტრუმენტი

ლოცვისა და ვედრების შესტების გარდა, ჰომეროსთან დიდი სიხშირით გვხვდება სხვა შესტებიც. ზოგადად, კომუნიკაციაში ხელის კინეტიკური ფუნქცია მართლაც განუზომელია. მთლიანად ხელის ორი ათასამდე შესტია დათვლილი. ხელის შესტიკულაციის ძირითადი დანიშნულებაა სიტყვისა და ქმედების გაძლიერება, ფსიქოლოგიური განცდების გამოხატვა, ან არსებული სიტუაციის ნათელყოფა. ძველ რომში ხელის შესტიკულაციას სამართლებრივი დანიშნულებაც ჰქონდა. ანტიკურ სამყაროში რამდენიმე ტიპის შესტს განასხვავებდნენ: საკომუნიკაციოს, ეროტიკულს, გრძნობის გამოხატველს (მხარზე ხელის დადება, ნიკაპზე ხელის შეხება, ხელზე კოცნა), ვედრების (ნიკაპზე და მუხლზე ხელის შეხება, ხელის გაწვდენა დახმარების, წყალობის სათხოვნელად, ხელზე კოცნა თხოვნის მიზნით), მად-

2 სხვა ავტორები ლოცვის დროს ხელთან შესტიკვებაში ხმარობენ *ahapta+* და *ahascwni*. „ილიადაში“ მხოლოდ ერთგან გვხვდება *ořegwni*-ის მაგივრად *ořegnu+* ფორმა. ამ ეპიზოდს აქვევს უურადღებას მკვლევარი და განმარტავს, რომ *ořegnu+* ფორმა ავტორმა მეტრის გულისთვის აირჩია [პულეინი 2000:215].

ლიერების (ხელის ჩამორთმევა) და ა.შ. [ანდრეევა... 1999:425; ტრესიდერი 1999:312].

ხელის გამოყენებით შექმნილ შესიტყვებათა დიდი ნაწილი ჰომეროსთან სწორედ კინეტიკურ პარალინგვიზმთა ვერბალური აღწერაა. ყველაზე ხშირად ხელის მოკიდების შესტი ფიგურირებს, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში მას სხვადასხვა დატვირთვა ენიჭება. ქვემოთ წარმოვადგენთ მაგალითების ერთ ნაწილს:

**ხელის მოკიდება – გამაფრთხილებელი შესტი**

ἀτὰρ γλαυκῶπις Ἀθήνη χειρὸς ἔλοῦσ' ἐπέεσι προσηύδα θυῖνον Ἄρεα (II. 5.30)  
 „ხელი ჩაავლო და შესძახა მძვინვარე არესს“.

Ἄγαμέμνων δεξοτερῆς ἔλε χειρὸς ἔπος τ' ἔφατ' ἔκ τ' ὀνόμαζεν (II. 7.108)  
 „ძმას ხელი სტაცა მარჯვენაზე და არწმუნებდა“.

ორსავე შემთხვევაში ამ შესტის (aiřew ceiro-) – ხელის მოკიდება (ჩავლება) – მიზანი, პირველ რიგში, ადამიანის შეჩერება და მისი ყურადღების მიქცევაა, ეს თითქოს შედახილია, შემზადება მოსალოდნელი ქმედებისთვის ან სათქმელისთვის. მაგრამ შინაარსი და დამოკიდებულება გაფრთხილების ობიექტის მიმართ განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში ეს მუქარაა, მეორე შემთხვევაში კი – ზრუნვა. მსგავსი მაგალითები ჰომეროსის ეპოსში ბევრია.

**ხელის მოკიდება – სიმბათიის, კეთილგანწყობის, თანამოაზრეობის გამომხატველი შესტი:**

ἔν τ' ἄρα οἴ φη χειρὶ ἔπος τ' ἔφατ' ἔκ τ' ὀνόμαζε (II. 18.384)  
 „აღერხით ჰკიდა ხელი ხელზე და ტკბილად უთხრა“.  
 Ὡς ἄρα φωνήσαντε καθ' ἴππων ἀΐχαντε  
 χεῖράς τ' ἀλλήλων λαβέτην καὶ πιστώσαντο (II. 6.233)  
 „ხელი ხელს მისცეს, მეგობრობა ერთურთს შეჰფიცეს“.

**ხელის მოკიდება – თანაგრძნობის გამოხატვის მიზნით:**

χειρὶ δὲ χεῖρα λαβόντες ἐπιστώσαντ' ἐπέεσι (II. 21.286)  
 „ხელი მოჰკიდეს ხელზე მოყმეს სანუგეშებლად“.

**ხელის მოკიდება – ძალადობის შესტი:**

χειρὸς ἑλόντ' ἀγέμεν Βρισηΐδα καλιπάρηον (II. 1.324)  
 „ხელი ჩასჭიდეთ, აჰ მომგვარეთ ბრისეს ასული!“.

**ხელის მოკიდება – მოხმობის, მოპატიჟების შესტი:**

τὸν δὲ ἰδὼν ὁ γεραῖος ἀπὸ θρόνου ἄρτο φαεινὸν  
ἐς δ' ἄγε χεῖρὸς ἔλawn, κατὰ δ' ἐδριάσθαι ἄνωγε (II. 11.646)

„თვალი რომ ჰკიდა ბერიკაცმა, წამოდგა მყისვე,  
ხელი ჩაავლო, სთხოვა, მოდი დაგვეწვიო.“

ამას გარდა, ჰომეროსის ეპოსში ვხვდებით სხვა შესტებსაც: ხელით მისა-  
ლმების შესტი (ოდ. 24.410), სიყვარულის გამოხატვა ხელის მოხვევით (ილ.  
6.485, ილ. 15.534, ილ. 18.594), ხელზე ამბორი სიყვარულისა და პატივისცე-  
მის ნიშნად (ოდ. 21.225), ხელის გაწვდენა დახმარების სათხოვნელად (ილ.  
23.75), ხელის შეშველება ადამიანის (მოხუცის) წამოდგომის დროს (ილ.  
21.416), უკუგდების შესტი ხელის კვრით (ილ. 20.261) და სხვა ძალადობრივი  
შესტები (რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ) და სხვა.

**ძალადობის (მრისხანების) დემონსტრირების შესტები:**

აგამემნონისა და აქილევის შეკამათების დროს აქილევის აგამემნონის  
უხეშ სიტყვებს მრისხანების შესტით უპასუხებს – ხმალზე ხელს დაიდებს.  
ეს არის მისი პირველი რეაქცია, რასაც მრისხანების სიტყვიერი ფორმულა  
მოჰყვება.

ხელის დადება ხმალზე, საერთოდ იარაღზე, როგორც ჩანს, მრისხანები-  
სა და შურისძიების გავრცელებული შესტია. ეს შესტი ხელის ძირითად მნიშ-  
ვნელობას – ძალას, ძალაუფლებას უსვამს ხაზს.

საყურადღებოა ეპიზოდი „ილიადადან“, სადაც გმირი ასე მიმართავს მო-  
საუბრეს: *aj l% age lh g% efido~, mhde; xif o~ e| keo ceiriv* (II. 1.210) „სიტყვებით  
კენწლუე, ხოლო მახვილს ნუ შეეხები“ (ილ. 1.210), ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს  
მისს, რომ მახვილის შეხება, მისი ხელში აღება ძალის გამოყენებას ნიშნავს.

ვინმესთვის ხელის დადება ან ვინმეზე ხელის აღმართვა – გვხვდება ფრა-  
ზეოლოგიაში გადატანითი მნიშვნელობით: ვინმესთვის ხელის დადება საკუ-  
თარი ძალაუფლების ქვეშ მოქცევას, საკუთარი ძალაუფლების ობიექტად  
გამოცხადებას ნიშნავს. ზოგადად ეს გამონათქვამი (ხელის დადება) ორი მნიშ-  
ვნელობით მოიაზრება: 1. დაცვის მიზნით (ხელის დამცავ ფუნქციას ქვემოთ  
განვიხილავთ), 2. დამორჩილების მიზნით. ვინმეზე ხელის აღმართვა, როგორც  
შესტი, ძალადობის დაწყების გამაფრთხილებელი ნიშანია, რომელიც ვერბალ-  
ურადაც გამოიხატება: ხელი აღმართა – ძალადობა მოიმოქმედა:

ἀλλ' ἀκέουσα κάθησο, ἔμῳ δ' ἐπιπέιθεο μύθῳ,  
μή νύ τοι σὺ χραίσμωοισιν ὄσοι θεοὶ εἶσ' ἐν Ὀλύμπῳ  
ἄσσοι ἰόνθ', ὅτε κέν τοι ἀάπτους χεῖρας ἐφέλω (II. 1.565-567)

„იუუჩე ჰერა, და ჩემს ნებას დაემორჩილე!  
თორემ ვერ გიხსნის ღვთაებათა მთელი კრებული,  
თუ ქედზე ჩემი უძლეველი ხელი დაგადე“.

οὐ τις ἔμευ ζῶντος καὶ ἐπὶ χθονὶ δερκομένοιοι  
 σοὶ κοίλης παρὰ νηυσὶ βαρείας χεῖρας ἐποίσει  
 συμπάντων Δαναῶν... (II. 1.87-89)

„სანამდე პირში სული მიდგას და ვჭვრეტ მზის ნათელს,  
 დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს!“.

გვიჭრობთ, ეს მაგალითები მნიშვნელოვანია პროქსემიკის – ქცევის სივრცული პარამეტრისა და სამეტყველო ეტიკეტის შესწავლის თვალსაზრისითაც. თანამედროვე მკვლევართა მიერ პროქსემიკური დონეების დაყოფის [ომიაძე 2003:3-19] მიხედვით (ინტიმური, პირადი, სოციალური და საზოგადოებრივი), ჰომეროსთან ინტიმური ზონა ზეინტიმური ქვეზონის ფარგლებში ჯდება, რადგან ამ ზონაში ფიზიკური კონტაქტი ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, ხელის მოკიდება (ხელში ხელის ჩავლება) საუბრის დაწყების წინ ერთგვარი სამეტყველო ქცევითი შესტია და იმავე ფუნქციას უნდა ითავსებდეს, რასაც, მაგალითად, ნაწილაკი – „ჰოდა“... (ფრაზის დაწყების წინ). ეს პროქსემიკური ელემენტი ლექსიკურადაც ასახულია ენაში: „ხელი მოჭკიდა და მიუგო“...

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ხელი განმსაზღვრელია იმ დისტანციისა, რაც პროქსემიკურ დონეებს განასხვავებს ერთმანეთისგან. ამ შემთხვევაშიც ხელს გარკვეულწილად ორიენტირის ფუნქცია აქვს (ხელის, როგორც ორიენტირის ფუნქციას, უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ). ხელის მოკიდება (ხელში ხელის ჩავლება) კომუნიკაციის დროს გავრცელებული შესტია ჩანს, მაგრამ ამავდროულად ხელის მოკიდება ძალადობის დემონსტრირებაცაა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად გადის ზღვარი საკომუნიკაციო აქტში მონაწილე შესტსა და ძალადობის შესტს შორის? განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ ხელის მოკიდებით კომუნიკაცია ინტიმურ ზონაში ბუნებრივია (აქ შემოდის ხელზე მოფერების შესტიც, როგორც განსაკუთრებული სიყვარულის გამოხატულებისა). ასევე მიღებული შესტია პირად ზონაში კომუნიკაციის დროსაც. მაგრამ, როგორც ჩანს, როდესაც კომუნიკაცია სცდება ამ ორ ზონას და სოციალური ზონის რანგში გადადის, აქ უკვე ეს კინემა (ხელის მოკიდება) ნეგატიურ რეაქციას იწვევს და ძალადობის შესტად გადაიქცევა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია აგამემნონის ბრძანება, ბრისეისი ხელის მოკიდებით (ხელის ჩავლებით) მიჰგვარონ მას: χεῖρὸς ἔλόντ' ἄγ' ἔμεν Βρισηΐδα καλιπάρηιον (II. 1.324). ის თითქოს შეგნებულად ცდილობს, სოციალური პროქსემიკური ზონა დაარღვიოს და საკუთარი ძალა კიდევ ერთხელ დაამტკიცოს.



### 3. ხელი – სიმბოლიკა

ზოგადად ხელის ძირითადი სიმბოლიკა ძალას, ძალაუფლებას უკავშირდება. ეს კავშირი უძველესი დროიდან მოდის. ხელი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, ასევე ძველთაგანვე გვხვდება გამოსახულებებზე და ეს სიმბოლიკა, როგორც უკვე ვნახეთ, ქესტების ენაშიც ფართოდ გამოიყენება.

ჰომეროსის პოემებშიც არ არის გამონაკლისი. საკმაოდ ხშირად ხელი აქ ძალის, ძალაუფლების (როგორც სიმამაცისა და გამბედაობის, ასევე ძალადობის) აღმნიშვნელ შესიტყვებებში გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ იმ ხუთი ეპითეტიდან (παχύς, στύβαρος, βαρύς, θρασύς, άάπτος), რომლებიც ხელს მიემართება, ორი (παχύς, στύβαρος) ხელის მოქმედებაზე მიანიშნებს, სამი კი (βαρύς, θρασύς, άάπτος) ახასიათებს ხელს, როგორც ზიანის მიმყენებელ ინსტრუმენტს [პულეინი 2000:215]. „ილიადაში“ ხშირადაა ლაპარაკი ხელის ძალასა და სიმამაცზე, რაც ბრძოლაში აუცილებელია. გვაქვს ხაზგასმა იმაზე, რომ მეზრძოლებს საკუთარი ხელის იმედი, ანუ ძალის იმედი აქვთ (ილ. 12.135), მტრის ხელის შიში მისი ძალის შიშია, ხელს ძალის მნიშვნელობა აქვს შემდეგ გამოთქმებში: ხელი არ ჰყოფნის (ძალა არ ჰყოფნის) (ილ. 21.75), შენს ხელებს ვერ გავეჭვევი (შენს ძალას ვერ გავეჭვევი) (ილ. 21.94), ხელს ძალის მნიშვნელობა აქვს შესიტყვებაში „რისხვა და ხელი“ („რისხვა და ძალა“, ილ. 13.287) და ა.შ.

ძალის სიმბოლიკა კარგად ჩანს შურისძიებისა და დაფიცების ფორმულებში. ჰომეროსთან დადასტურებული ეს ფორმულები ხელის შემდეგ მნიშვნელობებს უსვამს ხაზს: 1. ხელი – დამცველი, მფარველი; ადამიანი, რომელიც ფიცს დებს, ჰპირდება მეორეს, რომ თავისი ხელით, ანუ ძალით დაიცავს. 2. ხელი – დასჯის ინსტრუმენტი, რომელსაც სამართლიანობის დამყარების მიზნით იყენებენ (მაგ., როდესაც ოდისევსი ემუქრება სასიძოვებს). 3. ხელი – ძალადობის ინსტრუმენტი. სამივე შემთხვევაში ხელი ძალის, ძლიერების იარაღია. განსხვავება ისაა, თუ რა მიზნით იყენებს სუბიექტი ამ იარაღს.

სანამ კალქასი აქილევსს აპოლონის რისხვის მიზეზს გაუმხელს, დაფიცებას სთხოვს:

τοῖς γὰρ ἔγῳν ἔρέω· σὺ δὲ σὺνθεο καὶ μοι ᾄμοισσον  
ἢ μὲν μοι πρόφρασ ἔπεισον καὶ χερσὶν ἀρήξειν· (Il. 1.76-77)  
„შემფიცე, გმირო, რომ დამიცავ სიტყვით თუ ხელით“.

აქილევსიც ფიცს დებს:

σοὶ κοίλης παρὰ νηυσὶ βαρείας χείρας ἔποισει (Il. 1.89).  
„სანამდის პირში სული მიდგას და ვჭვრეტ მზის ნათელს,  
დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს!“ .

ხელი ამ ორ კონტექსტში ორი სიმბოლიკური იდეის მატარებელია: 1. ხელი

არის ძალა, რომელიც იბრძვის დათრგუნული სამართლიანობის აღდგენისათვის (კალქასი ხელით დაცვას ითხოვს აქილევისგან სამართლიანობის აღდგენისათვის); 2. ხელი არის, ამავდროულად, ძალადობის იარაღი (აქილევისი ჰპირდება კალქასს, რომ ვერავინ გაბედავს მასზე ძალის გამოყენებას, ძალადობას, ანუ ხელის აღმართვას).

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ შემთხვევაში (ხელი – ძლიერი, დამცველი, მფარველი) კალქასის თხოვნა აქილევისადმი ძალიან ჭკავს ქრისეს ლოცვას აპოლონისადმი (ქრისე სთხოვს აპოლონს, დაიცვას ის თავისი ისრებით და შური იძიოს დანაელებზე. ხელი და ისარი ერთი და იმავე იდეის გამომხატველია).

მეორე შემთხვევის (ხელი – ძლიერი, მოძალადე, გამანადგურებელი) განხილვის დროს საყურადღებოა აგამემნონის ეპიზოდი, როდესაც ის ელჩებს აქილევისს ქოხში გზავნის ბრისეისის წამოსაყვანად *χείρὸς ἑλόπτ' ἀγέμεν Βρισηΐδα καλιπάρηον* (Il. 1.324). „ხელით (ძალად) წამოიყვანეთ“ – ამ ფრაზით აგამემნონს თითქოს საკუთარი ძალის დემონსტრირება სურს. ს. პულეინი ყურადღებას აქცევს ამ მონაკვეთს: რატომ აკეთებს აგამემნონი აქცენტს ფიზიკურ კონტაქტზე? ელჩებს უბრალოდ შეეძლოთ ეთქვათ, წამოდი ჩვენთან ერთადო. იქნებ იმიტომ, რომ ბრისეისს ფიზიკური ზეწოლა სჭირდება აქილევისთან დასაშორებლად? ასევე შესაძლებელია ისიც, რომ ეს ხელის მოკიდება (მძრ. *mancipatio* რომაულ კანონში) იყო ფორმალური ქუსტი დაუფლებისა [პულეინი 2000:208-209]. ალბათ მაინც ეს უკანასკნელი ვერსია უფრო მისაღებია, ვინაიდან ტექსტიდან თითქოს არ ჩანს ბრისეისის განსაკუთრებული მიჯაჭვულობა აქილევისზე. აგამემნონი ამ ეპიზოდში ძალიან განრისხებულია და ზემოთ მოყვანილი ფრაზა მისი განრისხების ვერბალური გამოხატულებაა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის ხასიათს.

მაშასადამე, ხელი დამცველი (მფარველი) ძალაცაა და მოძალადე ძალაც (იცავს და იმორჩილებს). ზოგადად ის ძალის სიმბოლიკას განასახიერებს, რომელიც შეიძლება გახდეს ძალადობის იარაღიც და სამართლიანობის იარაღიც. ეს უკვე გმირის არჩევანზეა დამოკიდებული. ძალის სიმბოლიკის კონტექსტში საინტერესოა ერთი დეტალი: კალქასი სთხოვს აქილევისს, დაიცვას ის ხელით (*χείρ*) და სიტყვით (*ἔπος*). სხვა ეპიზოდში თეტისი სთხოვს ზევსს, დაიცვას აქილევისი სიტყვით (*ἔπος*) და საქმით (*ἔργον*). ამ ორი კონტექსტის მიხედვით საქმე (*ἔργον*) და ხელი (*χείρ*) ერთმანეთის სემანტიკურ კორელატებად გვევლინებიან. ისინი ჩაანაცვლებენ ერთმანეთს სიტყვასთან (*εἶπε*-) სემანტიკურ წყვილში და ერთი კონცეფციის მატარებელი არიან.

ამ პარალელული ოპოზიციური წყვილების არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელის ერთ-ერთი მნიშვნელობა საქმის, ნამოქმედარის მნიშვნელობაა. ეს ლექსემა აღნიშნავს იმას, რაც ადამიანის ხელიდან არის გამოსული. ხშირ შემთხვევაში ეს საქმე ძალასთან, ბრძოლასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ასევე გვაქვს: *μηῖμ' Ἑλένης χείρῳ* (Od. 15.126) გახსოვდეს ელენეს ხელები (ნახელავი). უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ბერძნული

ენის კულტურულ-სპეციფიკური მოვლენა, რადგან ამის მაგალითები სხვა ენებშიც გვაქვს (შდრ.: ქართ. ნახელავი, თავისი ხელი დაატყო, ამ საქმეს შენი ხელი [არ] ეტყობა, ინგლ. hand – შემსრულებელი, ავტორი: a book written by various hands – რამდენიმე ავტორის მიერ დაწერილი წიგნი [ჰანტურია... 1998] და ა.შ.).

საინტერესო მასალა იძებნება *ceir* ლექსემის მონაწილეობით შექმნილ სხვა შესიტყვებათა მიმოხილვის საფუძველზეც. ეს სემანტიკური გადასვლები უნივერსალიებად ჩანს. ხელის მნიშვნელოვანი ფუნქცია ძველ ბერძნულში ორიენტირის ფუნქციაა, რაც უკვე ჰომეროსთან არის დადასტურებული. როდესაც კალიფსო ოდისევსს გზას ასწავლის და უხსნის, თუ რომელ მხარეს უნდა წავიდეს, ის ეუბნება: ἔπ' ἀριστερά χεῖρὸς (Od. 5.277) – ხელმარცხნივ. აქედან გამომდინარე, უკვე ჰომეროსის ეპოქაშიც არ უნდა ყოფილიყო უცხო შეკითხვა: ποτέρας τῆς χεῖρός; (E. Cyc. 681) რომელი ხელისკენ? – ანუ რომელ მხარეს? რაც შემდგომ ევრიპიდესთან გვხვდება. თუმცა ხელი როგორც მიმართულების, ადგილმდებარეობის ათვისის წერტილი, ასევე არ არის მხოლოდ ბერძნული კულტურული არეალისათვის დამახასიათებელი თავისებურება.

ორიენტაციის დადგენის თვალსაზრისით ბერძნულში კიდურების ფუნქცია თითქოს ასეთნაირად არის განაწილებული: ხელი სივრცული ორიენტირი ჩანს, ფეხი – დროული. შდრ.: παρὰ ποδᾶ – წამში, მაშინვე, para; podō – მაშინვე, სახელდახელოდ [ლიდლ-სკოტი 1996].

ხელი, სივრცეში ლოკალიზაციის გარდა, მატერიალური მდგომარეობის საზომიცაა, მდიდარი ხელსავესა πλειοτέρη σὺν χεῖρὶ φίλην ἔς πατρίδ' ἰκέσθαι (Od. 11.359), ხოლო ღარიბი – ხელცარიელი οἶκαδε ἰσὸρμεθα κενεᾶς σὺν χεῖρας ἔχοντες (Od. 10.42). შდრ.: ქართ ხელმოკლე, ხეც. უხელთური – ვისაც ხელიდან არაფერი გამოუვა [ჭინჭარაული 2005] და სხვა.

დასასრულ, უნდა გამოვყოთ ის შესიტყვებები, სადაც *ceir* ლექსემი გასულიერებული ფუნქციით არის წარმოდგენილი. მაგ., οἶρεος ἐν βῆσσησι, ἐπεὶ τ' ἔκορῆσατο χεῖρας (Il. 11.87) „ხელები გაძღნენ კორომთა ბელვით“ (ილ. 11.87), μαιμῶσαι δ' ἔνερθε πόδες καὶ χεῖρες ὑπερθε (Il. 13.75) „მძლავრი მხარმკლავი და სახსრები ბრძოლად ამენთო“ (ილ. 13.75), οἷδ' ἔτι φασὶν Ἐκτορος ἀνδροφόνιοι μένος καὶ χεῖρας ἀάπτους σχήσεσθ' (Il. 17.637-639) „კაცთამმუსვრელ ჰექტორის ხელებს ველარ გავუძლებთ“ (ილ. 17.638-639), οὐ γὰρ οἶω σὰς χεῖρας φεύξεσθαι, ἐπεὶ ῥ' ἐπέλασσέ γε δαίμων (Il. 21.94) „მეც არ ამცდება შავი ბედი, ვიცი, შენს ხელებს ვერ გავეჭვები“ (ილ. 21.92-93). ზოგჯერ გაპიროვნება ისეთ მასშტაბს აღწევს, რომ ხელი მისი მფლობელის სინონიმადაც კი გვევლინება და მის ატრიბუტებად მოიხსენიებს. მაგ., ზევსი დიდი ხელია – Χεῖρ μεγάλη (Il. 15.695). უფრო გვიანდელ ტექსტებში დადასტურებულია შესიტყვებები: ყოვლისმპყრობელი ხელი Χεῖρ παγκρατῆς, ყოვლისმწვდომელი ხელი Χεῖρ ὑπερμυκῆς [ლიდლ-სკოტი 1996].

ჩვენ მიერ განხილული შესიტყვებები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სო-

მატური სახელები, გარდა პირველადი, ადამიანის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ფუნქციისა, ადამიანის სინონიმად ან ადამიანის შინაგანი ბუნების (კონკრეტულ, ხელის შემთხვევაში, ფიზიკური ძალის, „სოციალური სტატუსის“...) ამსახველად შეიძლება მოგვევლინონ.

მოცემული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ხელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის დროს. ხელის შესტიკულაცია ვერბალური კომუნიკაციის თანმხლები ნაწილია და ავსებს მას. ამავდროულად, ვერბალურ კომუნიკაციაში მრავლადაა სომატური ფრაზეოლოგიზმები ხელ-ლექსემის მონაწილეობით.

სომატური ფრაზეოლოგია ერთ-ერთი ლინგვისტური უნივერსალიაა. ჰომეროსის ეპოსში წარმოდგენილი ხელ-ლექსემის მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმებიც (ხელის სისხლით დასვრა, ხელის აღმართვა, ხელმარცხნივ, ხელსავსე, ხელცარიელი...) ლინგვისტური უნივერსალიებია. ხელის ის ფუნქციები და მნიშვნელობები (ხელი – ინსტრუმენტი, მფარველი, ძალა, საქმე...), რომლებიც ჰომეროსის პოემებშია დაფიქსირებული, ჰომეროსის შემდგომაც არ იცვლება, დღესაც უდასტურდება ამ სომატურ სახელს ახალ ბერძნულში და სხვა ენებშიც.

აღსანიშნავია, რომ მხატვრულ ტექსტში (ამ კერძო შემთხვევაში ჰომეროსის ეპოსში) პარალინგვიზმებისა და მათი ლექსიკური გამოხატულების შესწავლა გვეხმარება გმირების ხასიათის გახსნაში (მაგ., ბრისეისის ძალით წამოყვანის ეპიზოდი საყურადღებოა აგამემნონის ხასიათის ანალიზის დროს) და, პირიქით, მხატვრული ტექსტი პარალინგვიზმებისა და მათი ვერბალური შესატყვისობების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

## დამოწმებანი

**გული 2001:** J. Gould. *Myth, Ritual Memory, and Exchange (Essays in Greek Literature and Culture)*, Oxford, Oxford University Press, 2001.

**დანელია 1987:** კ. დანელია. „პარიზული ლექციონარი და მისი მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენის ისტორიისათვის“, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. I, ნაწილი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1987, გვ. 463-563.

**ვანდრიესი 1931:** Ж. Вандриес. *Язык, Государственное социально-экономическое издательство, Москва, 1931.*

**ლოიდი 1983:** G.E.R. Lloyd. *Science, Folklore and Ideology, Studies in the Life Sciences in Ancient Greece*, Cambridge, Cambridge University Press, 1983.

**ომიაძე 2003:** თ. ომიძე. „კინესიკური პარაენობრივი საშუალებები და მათი ვერ-

ბალური აღწერა“, *ენის სახლი, სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი*, 4(8), თბ., „უნივერსალი“, 2003, გვ. 3-19.

**პულეინი 1997:** S. Pulleyn. *Prayer in Greek Religion*, Oxford, Clarendon Press, 1997.

**პულეინი 2000:** Homer. *Iliad I*, Edited with an introduction, translation and commentary by S. Pulleyn, Oxford, Oxford University Press, 2000.

**სარგველაძე 1984:** ზ. სარგველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, „განათლება“, თბ., 1984.

**ჰარისონი 1954:** E.L. Harrison. „Last Legs“ in *Homer, The Classical Review, New Series*, vol.4 №314 (Dec. 1954), pp. 189-192.

## წყაროები

**ანდრეევა... 1999:** В. Андреева. В. Куклев, А. Ровнер, Энциклопедия символов, знаков, эмблем, Москва, Локид-Миф, 1999.

**II.:** Homer, *Iliad*, editor D.B Monro. Oxford, Oxford Clarendon Press, 1960.

**ილ.:** ჰომეროსი, ილიადა, თარგმ. რომან მიმინოშვილისა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979.

**კუპერი 1986:** J.C. Cooper. *Lexikon alter Symbole*, Leipzig, Seemann Verlag, 1986.

**ლიდლ-სკოტი 1996:** H.G Liddell and R. Scott. *Greek-English Lexicon*, Revised and augmented throughout by Sir Henry Stuart Jones, Oxford, Clarendon Press, first edition 1843, with a revised supplement 1996.

**Od.:** Homer, *Odyssey*, editor D.D. Merry, Oxford, Oxford Clarendon Press 1958.

**ოდ.:** ჰომეროსი, ოდისეა, თარგმ. პანტელეიმონ ბერაძისა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979.

**ტრესიდერი 1999:** Дж. Тресиддер, Словарь символов, пер. с англ. С. Палько, Москва, Фаир-Пресс, 1999.

**ქეგლ I-VIII 1950-1960:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950-64.

**ჰანტურია... 1998:** ა. ჰანტურია, თ. მარგალიტაძე (მთ. რედაქტორები), ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, VIII რვეული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბ., 1998.

**ჰინჭარაული 2005:** ალ. ჰინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, „ქართული ენა“, თბ., 2005.

# Language of Hand in Homeric Epic<sup>1</sup>

Tamar Sukhishvili

The paper focuses on the somatic word *hand* and its uses in Homeric epic. The paper aims at defining the functions and meanings of this body part in Homeric poems as well as sorting out how these meanings are reflected in the language.

The chief lexeme for denoting hand in old Greek is ἡ χεῖρ with the basic meaning of upper extremities of a human, hand, hand and arm. It is used also to denote paw or hand of an animal, but there is no evidence of this meaning in Homer, it is found in the later texts.

The high frequency of the uses of this word is not unusual. Hand is a body part that can speak symbolic language. Speaking about the frequency of somatic words during the process of metaphorization, J. Vendryes mentions that the metaphor of hand is one of the most widespread one. According to him, hand is the main human instrument; a man usually does his work by his hands, and there is a variety of jobs done with the help of hands. Having considered the above-mentioned opinion the frequency of figurative phrases containing the word *hand* becomes evident [Vendryes 1931:203] (cf. monkeys do not have hands, they have body parts for catching the things. A hand is a human attribute; the attribute of the living creature that has speaking ability, i.e. cognition).

The basic contextual uses of χεῖρ (hand) in Homeric epic are as follows:

1. Hand is a basic instrument of daily life.
2. Hand is an instrument of gesticulation. It is widely used in body language.
3. Hand symbolic is a source for metaphorization.

And in all these three cases hand refers to the connection between human and environment.

## 1. Hand: an instrument of daily life and activities

### a) Battle Scenes

First of all, hand is a main instrument of human daily life and activities, including battles and ritual activities. A man washes his hands, fills a bowl with his hand, throws arrow/spear with his hand, etc.

Verbal descriptions of the activities performed with the help of hands (i.e. phrases containing the word hand) can be divided in two groups:

---

<sup>1</sup> The paper was presented during the 13th Conference of the International Federation of Classical Studies at Humboldt University (Berlin), August 25, 2009.

1. Take with a hand, carry in one's hand (hand is in the dative case with or without a preposition): ὁ δὲ χερμάδιον λάβε χειρὶ (Il. 5.302), ἔχων ἐν χειρὶ παχείη (Il. 8. 221), etc.

2. Fall down from one's hands, drop from one's hands, shoot with one's hands (hand is in the genitive case): δαλὸς δὲ οἱ ἔκπεσε χειρός (Il. 15.421). These forms resemble the forms of genitivus separationis containing the meaning of separation, being free from something (i.e. hands). These phrases draw one's attention by their content, e.g. metaphorical depiction of the action of shooting: τοῦ δ' οὐχ ἄλιον βέλος ἔκφυγε χειρός (16.480) "a spear ran away from the hands" (metaphor with a personification of an inanimate thing).

Focusing on the instrumental function of hand the paper deals with the further semantic changes. In Septuagint hand as an instrument (ἐν χειρὶ) is also used with those verbs that do not denote an action performed with the help of hands: ἐγένετο λόγος κύριου ἐν χειρὶ Ἀγγαίου τοῦ προφήτου λέγων (Agg: 1:3), etc. As it seems this fact was not characteristic for the Greek language. The scholarly opinion is that ἐν χειρὶ derives from the foreign language first sources, mainly from Hebrew and Syrian languages [Danelia 1987:555].

### **b) Ritual Activities**

Hand has a function of a sort of mediator in prayer and supplication. Homer's heroes pray χειρὰς ὀρέγων (with their hands raised). In supplication the ritual act depends essentially upon physical contact with parts of the body (knee and chin) which are regarded as having a peculiar sanctity [Gould 2001:26]. Numerous examples of prayer and supplication are found in Homeric epic. But here the paper concentrates on the two of them. One is an episode from the "Iliad", where tactile gesture of supplication implies a physical contact with a knee as well as kissing a hand (there are no other examples of supplication with hand kissing in Homeric epic. Though we have gestures of hand kissing as an expression of love and respect in the "Odyssey").

The other episode the paper focuses on is as the scholars call it the first example of full physical supplication of a god in Greek literature [Pulley 1997:57]. It is the episode of Thetis asking Zeus to help her son Achilles. She slips down before Zeus, her left hand placed on his knees and her right hand held up to cup his chin. Thus, she makes her plea to him. The passage is debatable. It is a kind of a mixture of prayer and supplication; the language is prayer, the action is supplication.

## **2. Hand: an Instrument of Gesticulation**

Many phrases formed by the word χεῖρ in Homer are verbal descriptions of non-linguistic means. The most frequent gesture is to take one's hand. However, the meaning of this gesture varies in different contexts. It can be used as a gesture of warning (Il. 5.30, Il. 7.108...), a gesture of expressing kind feelings (Il. 18.384, Il. 18.483, Il. 19.7...), a gesture of sympathy (Il. 21.286...), violence (Il. 1. 324, Od. 17.480, Od. 20.263...), request/invitation (Il. 11.646, Od. 3.37...), etc. The other hand gestures

found in Homeric epic are: gestures of greeting (Od. 24.410), gestures of refusal (Il. 20.261), kissing a hand to show love and respect (Od. 21.225...), erotic gestures, embracing, holding hands upon the wrist, etc. (Il. 6.486, Il. 15.534), stretching or giving a hand to ask for help (Il. 23.75...) and etc.

The analysis of the hand gestures in Homeric epic shows that taking somebody's hand seems a common communicative gesture (it is used in the beginning of a communicative act), but the same gesture is a demonstration of power as well. It can be suggested that hand can determine a distance between different proxemic levels. The gesture of taking somebody's hand during communicative act is common within the frames of an intimate zone. Besides, this gesture is also used on the private proxemic level. There are a number of examples like this: ἔν τ' ἄρα οἱ φῦ χεῖρὶ ἔπος τ' ἔφατ ἔκ τ' ὀνόμαζε (Il. 6.406) "took his hand and replied". However, on the social proxemic level this hand gesture carries a different meaning, a common communicative gesture transforms into a gesture of violence and apparently causes negative reaction. Agamemnon's order to his heralds to take Briseis by the hands and bring her to him is one of the clear examples referring to a gesture of violence. It seems as though Agamemnon consciously tries to ruin the bounds of the social proxemic zone and demonstrates his power one more time.

The paper concentrates on the gestures of violence. It discusses an episode of quarrel between Agamemnon and Achilles in the "Iliad I", where Achilles replies to Agamemnon's cruel words with a gesture of anger. He places his hand on his sword (this is his first reaction that demonstrates both his anger and his power) that is followed by the verbal formula of anger. Placing one's hand on a sword, gun, and etc. seems to be a common gesture of anger or revenge. The passage from the "Iliad I" seems significant in this sense:

ἄλλ' ἄγε λῆγ' ἔριδος, μηδὲ ξίφος ἔλκειο χεῖρι (Il. 1.210).

"But come, cease from strife, and do not grasp the sword with your hand".

The paper also discusses the figurative meaning of the following phrases: putting one's hand on somebody and raising one's hand upon somebody. The expression of putting one's hand on somebody generally contains two meanings: 1. to defend, to protect (Il. 1.76-77, etc.), 2. to subordinate, to gain an influence over somebody (Il. 1.89, etc.)

### 3. Hand symbolic

This part of the paper concentrates on hand symbolic in Homeric epic. It is noteworthy that of the five epithets applied to hand in Homer: παχύς, στυβαρός, βαρύς, θρασύς, ἄπυτος - the first two (παχύς, στυβαρός) describe the hand in action, whereas the other three (βαρύς, θρασύς, ἄπυτος) are more emotionally laden and denote the hand as an instrument of harm [Pulleyn 2000:215]. The "Iliad" often indicates to the "strength and courage of hand" (Il. 12.135) as a necessary attribute during the battle, hand has a meaning of strength in the word combination "anger and hand" (Il. 13.287) referring to anger and power/strength, there are idiomatic expressions: "hope for



hand“ (Il. 12.35), “fear of the enemy’s hand“ (Il. 13.49), “escaping one’s hands“ (Il. 21.94) and etc. The symbolic of strength and power is reflected in the formulae of revenge and oath. These formulae reveal the following meanings of the lexeme hand:

1. Hand is a protector, a person who takes an oath believes in his own physical abilities and promises others to protect them with his strength/power, i.e. with his hand.

2. Hand is an instrument of a certain kind of punishment leading to justice in the whole world (e.g. when Odysseus threatens the fiances).

3. Hand is an instrument of violence.

In all these three cases hand is an instrument of power and strength in general. However, there is a difference in the goal of an action, i.e. what this instrument is used for.

Before Calchas explains the reason of Apollo’s anger to Achilles, he asks him to take an oath as a security guarantee:

...σὺ δὲ σύνθεο καὶ μοι ὄμοσον  
ἢ μὲν μοι πρόφρων ἔπεσιν καὶ χερσὶν ἀρήξειν (Il. 1.76-77)  
“Swear to me that you will need readily help me with words or  
with the strength of your hands“.

And Achilles promises him:

σοὶ κοίλης παρὰ νηυσὶ βαρείας χεῖρας ἐποίσει (Il. 1.89).  
“I swear by Apollo, never shall any man lay hands on you“.

The given phrases contain two symbolic ideas:

1. Hand - a symbol of power struggling for justice (the paper draws a parallel with Chryse’s prayer to Apollo and it can be suggested that hand and arrow introduce the same idea).

2. Hand - an instrument of violence

These two symbolic ideas are discussed on the analysis of the two passages from the “Iliad”: 1. Chryse’s prayer to Apollo, where hand and arrow introduce the same idea; 2. Agamemnon’s order to take Briseis by the hand and bring her to him: χεῖρὸς ἐλόντ’ ἀγέμεν Βρισηΐδα καλιπάρηον (Il. 1.324).

This expression (χεῖρὸς ἐλόντ’) indicates that Agamemnon just wants to demonstrate his power. S. Pulleyn pays attention to this passage: “Why does Agamemnon specify this physical contact? The heralds could presumably just say “Come with us“. Perhaps the thought is that Briseis will need some physical persuasion to leave Achilles. It is also possible that the imposition of the hand (cf. *mancipatio* in Roman law) was a formal legal gesture denoting acquisition.“ [Pulleyn 2000:208-209]. The latter version seems more acceptable as the text in question does not provide enough arguments for proving that Briseis was somehow bound to Achilles. Agamemnon is very angry and the verbal expression of his action, i.e. taking her by hand only emphasizes and strengthens his emotions.

These examples reveal two definitions of hand (protective and violent powers). Hand protects and hand gains an influence over somebody. The goal of the use of hand (strength, power) depends on the individual choice.

The attention is also paid to the passages where χεῖρ and ἔργον appear to be semantic correlates (cf. one of the meanings of the word hand is that of deed (Od. 15.126). The examples of this kind are found in other languages as well, e.g. Georgian “na-khel-av-i” (from khel- hand) a handmade thing, etc.

Some other meanings of hand (indicating direction, measure of one’s prosperity) are also presented in the paper, with a special emphasis on the personifications of χεῖρ (Il. 13.75, etc.) and the cases where hand appears to be a synonym of the owner of this body part and uses its attributes as well, i.e. Χεῖρ μεγάλη (Big Hand) for Zeus (Il. 15.695), etc.

To conclude: apart from their primary function, denoting the meaning of body parts or organs, in certain circumstances somatic words are considered to be the synonyms of a person or reflect the inner nature (i.e. in this particular case hand reflects physical strength, “social status”, etc.) of an individual.

The examples discussed above prove that hand plays an important role in verbal and non-verbal communication. Hand gestures accompany verbal communication and help one to emphasize something that is expressed in words. At the same time there is a vast number of phrases and idiomatic expressions formed by the word hand.

Somatic phraseology is one of the linguistic universals. The word combinations and phrases (to raise one’s hand against someone, to give a hand, hands stained with blood, on the left hand, etc.) that are presented in Homeric epic are linguistic universals as well. The functions and meanings of hand (hand - instrument, protection, power, deed...) revealed in Homeric poems have not been changed. These meanings and functions are the same in modern Greek and in other languages.

It is noteworthy that the study of body language (hand language) and its verbal correspondences in the literary text (i.e. Homeric epic) helps us to describe the nature of the characters, to have a proper understanding of their behaviour (e.g. Agamemnon’s behaviour). Moreover, the text provides an important source for paralinguistic communication means and their verbal equivalents.

### Bibliography

- Andreeva... 1999:** V. Andreeva, V. Kuklev, A. Rovner. Encyclopedia of Symbols, Signs and Emblems, Moscow, “Lokid-Mif”, 1999.
- Cooper 1986:** J.C. Cooper, Lexikon alter Symbole, Leipzig, Seemann Verlag, 1986.
- Danelia 1987:** K. Danelia (ed.), Parisian Manuscript of Georgian Bible, V. I. Part 1, Tbilisi, Tbilisi University Publishing, 1987.
- EGD 1998:** English-Georgian Dictionary, fascicle VIII, editors-in-Chief A. Chanturia, T.

Margalitadze, Tbilisi, Tbilisi Ivane Javakhishvili State University Lexicographic Centre, 1998.

**GLD I-VIII 1950-1960: An Explanatory** Dictionary of the Georgian Language, in 8 volumes, editor-in-Chief Arn. Chikobava, Tbilisi, Georgian State Academy of Sciences Publishing, 1950-1964.

**Gould 2001:** J. Gould *Myth, Ritual Memory, and Exchange* (Essays in Greek Literature and Culture), Oxford, Oxford University Press, 2001.

**Harrison 1954:** E.L. Harrison, "Last Legs" in *Homer, The Classical Review, New Series*, vol.4 #314 (Dec. 1954), pp. 189-192.

**Il.:** Homer, *Iliad*, editor D.B Monro, Oxford, Oxford Clarendon Press, 1960.

**Il. (Eng):** Homer, *The Iliad*, ed. S. Butler, Perseus Project.

**Il. (Geo):** Homer, *Iliad*, translation into Georgian by R. Miminoshvili, Tbilisi, "Sabchota Sakartvelo", 1979.

**Liddell-Scott 1996:** H.G Liddell and R. Scott, *Greek-English Lexicon*, revised and augmented throughout by Sir Henry Stuart Jones, Oxford, Clarendon Press, first edition 1843, with a revised supplement 1996.

**Lloyd 1983:** G.E.R. Lloyd, *Science, Folklore and Ideology*, Studies in the Life Sciences in Ancient Greece, Cambridge, Cambridge University Press, 1983.

**Od.:** Homer, *Odyssey*, editor D.D. Merry, Oxford, Oxford Clarendon Press, 1958.

**Od. (Geo):** Homer, *Odyssey*, translation into Georgian by P. Beradze, Tbilisi, "Sabchota Sakartvelo", 1979.

**Omiadze 2003:** Th. Omiadze, *Paralinguistics and Verbal Description of Non-Linguistic Means*, Language House, Scientific and Literary Magazine, №4(8), Tbilisi, 2003.

**Pulleyn 1997:** S. Pulleyn, *Prayer in Greek Religion*, Oxford, Clarendon Press, 1997.

**Pulleyn 2000:** S. Pulleyn (ed.), *Homer Iliad I*, edited with an introduction, translation and commentary by S. Pulleyn, Oxford, Oxford University Press, 2000.

**Sarjveladze 1984:** Z. Sarjveladze, *Introduction to the History of Georgian Literary Language*, Tbilisi, "Ganatleba", 1984.

**Trassider 1999:** J. Trassider, *Dictionary of Symbols* (in Russian), Moscow, Fayr-Press, 1999.

**Tchintcharauli 2005:** A. Tchintcharauli, *Khevsurian Dictionary*, Tbilisi, "Kartuli Ena", 2005.

**Vendryes 1937:** Ж. Вандриес. *Язык*, Москва (in Russian), Moscow, State Social Economic Publishing House, 1937.